
ეროვნული ბიბლიოთეკის ჟურნალისტიკის, ბიბლიოლოგიისა და ინფორმატიკის ინსტიტუტის ორგანო

№ 12 (244) 14-20 მარტი 1970 წელი

26 მარტს 1970



ლიტერატურული საქართველო

ქართველი ხალხის ისტორიული ბედი

ჩვენი თაობა, ჩვენი ეპოქა ხშირად ადარებენ ხოლმე ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპოქას — XIII საუკუნის პირველ ნახევარს, მონღოლთა ურდოების მიერ მსოფლიოს ნახევრის დალაშქვრის ხანას. ეს ანალოგია ბუნებრივია, ის ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარეობს და ამიტომ ეჭვს არ იწვევს. ეჭვი იწყება მაშინ, როცა ამ ანალოგიის საფუძველზე ცდილობენ ისტორიული ანალოგიის ფარგლებიდან გამოსვლას და ჩვენი ეპოქის ისტორიული ბედის ამა თუ იმ ასპექტის ამ ანალოგიით ახსნას.

ეს ანალოგია ბუნებრივია, რადგან ორივე ეპოქა ერთნაირად ტრაგიკული იყო ქართველი ხალხისათვის. ორივე ეპოქა ეროვნული ტრაგედიის ეპოქა იყო

ინტერვიუ მინისტრთან

ბიუჯეტი და ჩვენი კეთილდღეობა



ადამიანთა კეთილდღეობა, დღევანდელი ბედნიერება თუ ნათელი მომავალი დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაზე. ის შეიტი, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი წლიდან წლამდე იზრდება, იმ პროგრესის ნათელი დადასტურებაა, რომელსაც ერისათვის ბედნიერება მოაქვს. ბიუჯეტის ზრდა ხომ ახალი ქარხნები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, სპორტული მოედნები თუ სამედიცინო დაწესებულებებია...

მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს, როგორ არის ასახული ბიუჯეტში ჩვენი სამშობლოს დღევანდელი დღე, რას ჰპირდება ადამიანებს იგი მომავლისათვის. ამასთან დაკავშირებით, „სამშობლოს“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრს არჩილ ჭირაქაძეს.

● გთხოვთ მოკლედ დაგვიხასიათოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი.

საქართველოს, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას, აქვს თავისი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, რაც სახალხო მეურნეობის მზარდი განვითარებისა და ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების მანიშნებელია. მოვიყვან ერთ მაგალითს: თუ 1965 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 955,5 მილიონი მანეთი იყო, 1970 წელს იგი 1.248,9 მილიონ მანეთს შეადგენს.

● რა უზრუნველყოფს ბიუჯეტის ასეთ ზრდას?

პირველ რიგში მრეწველობის სწრაფი ტემპები. დღითიდღე მატულობს ფაბრიკა-ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა, მაღლდება საწარმოთა რენტაბელობა. თუ 1965 წელს საწარმოთა მოგებიდან ბიუჯეტში 280,5 მილიონი მანეთი შევიდა, წელეულს ეს თანხა 400 მილიონს გადააჭარბებს.

ბიუჯეტის შემოსავალში საგრძნობი ადგილი უჭირავს ბრუნვის გადასახადს. მაგრამ ვიდრე ამის საილუსტრაციო ციფრსაც დავასახელებდე, ორიოდე სიტყვით გავიმარტავთ, რას ნიშნავს ბრუნვის გადასახადი. ეს სოციალისტურ საწარმოში შექმნილი დაგროვების ის ნაწილია, რომელიც ბიუჯეტში მზა პროდუქციის რეალიზაციის დროს შეიტანება. ბრუნვის გადასახადი ვრცელდება როგორც საქართველოში დამზადებულ, ისე სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილ საქონელზე. თუ 1960 წელს ბრუნვის გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოვიდა 567 მილიონი მანეთი, 1970 წელს 698 მილიონი მანეთი შემოვა.

საერთოდ კი, ბიუჯეტის შემოსავლის 90 პროცენტი — ეს გასავთ შემოსავალი სოციალისტური საწარმოებიდან. დანარჩენი 10 პროცენტი ბიუჯეტში მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადების სახით შემოდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადების ხვედრი წონა ბიუჯეტში არ მატულობს. მოსახლეობის დიდი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. მაგალითად, დაბალი ხელფასის მქონე მუშა-მოსამსახურეები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ხოლო სოფლის მცხოვრებთა 35 პროცენტი თავისუფალია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

● რა მიმართულებით იხარჯება ბიუჯეტის თანხები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ასეთი ციფრით მინდა დავიწყო: ბიუჯეტის 96 პროცენტი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებასა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა აღმავლობას ხმარდება, 4 პროცენტი კი იხარჯება სახელმწიფო მმართველი აპარატის, სასამართლო ორგანოების შესანახად და იმ ხარჯების დასაფარავად, რომლებიც ბიუჯეტში წინასწარ არ არის გათვალისწინებული.

თუ რა შეიმატა სამშობლოს ბიუჯეტიდან გაღებული ფულით, ეს თვალწინ არის და მისი დანახვა ყველას შეუძლია. ჩამოვთვლი მხოლოდ ზოგიერთს, რაც უკანასკნელ წლებში აშენდა და ხალხის სამსახურში ჩადგა: ათეული კილომეტრებზე გადაჭიმული სამგორისა და ალაზნის არხები, ქართული ელმავალი და ავტომანქანა, თბილისის მეტროპოლიტენი და სპორტის სასახლე, ათასობით ჰექტარზე გაშენებული ახალი ვენახები და ბაღები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები და, ბოლოს, საქართველოს რომელ ქალაქში, დაბასა თუ სოფელში არ შეხვდებით ხარაჩოებში ჩამჯდარ მშენებლობებს — შენდება საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები. შენდება მსოფლიოში ერთერთი ყველაზე უნიკალური და უმაღლესი კაშხალი — ენგურჰესი.

1970 წლისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს 486 მილიონი მანეთი, ხოლო საწარმოთა განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან — 446 მილიონი მანეთი. დამეთანხმებით, 932 მილიონი მანეთი მცირე თანხა როდია. მარტო არხების მშენებლობაზე 1970 წელს დაიხარჯება 40 მილიონი მანეთი, მიწების გასაუმჯობესებლად — 17 მილიონი მანეთი, ტყეების გაშენებაზე — 1,2 მილიონი მანეთი.

რაც შეეხება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, თუ მათთვის 1965 წელს გამოყოფილი იყო 505 მილიონი მანეთი, 1970 წლისათვის 711 მილიონი მანეთი დაიხარჯება. აშენდება ახალი სკოლები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები...

● გთხოვთ უფრო დაწვრილებით გვესაუბროთ, რა ხარჯებს იღებს სახელმწიფო განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, სოციუზრუნველყოფის, სპორტის აღმავლობისათვის?

განათლების საქმეზე წელეულს ბიუჯეტიდან 370 მილიონ მანეთამდე დაიხარჯება. როდესაც ამ თანხას ვასახელებ, არ შემიძლია შედარებისათვის წინა წლებში გაღებული თანხებიც არ შეგახსენოთ. 1960 წელს იგი 182 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1965 წელს კი — 271 მილიონს. როგორც ხედავთ, განათლების აღმავლობაზე ზრუნვა თვალნათლივ არის. ახლა მისთვის გაღებული თანხა მთელი ბიუჯეტის ერთ მეოთხედს აჭარბებს. რაც შეეხება მეცნიერების შემდგომ განვითარებას, აქ ორი აზრი არ არსებობს, საქართველოს ხომ მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ყოველ 10 ათას კაცზე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობით. მეცნიერებასა და კადრების მომზადებას 1970 წელს 114 მილიონი მანეთი მოხმარდება, მარტო უნივერსიტეტი წელეულს ბიუჯეტიდან 9,1 მილიონ მანეთს მიიღებს.

მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი მაგალითი: თითოეული სტუდენტი სახელმწიფოს წელიწადის განმავლობაში 938 მანეთი უჯდება. საქართველოში კი დღეისათვის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში 132 ათას კაცზე მეტი სწავლობს.

დიდ თანხებს ღებულობს სახელმწიფოსაგან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. 1970 წლისათვის ჩვენი მეცნიერები ბიუჯეტიდან 25 მილიონ მანეთს მიიღებენ.

რაც შეეხება ხელოვნებას, იგი 1970 წლისათვის 14 მილიონი მანეთით დაფინანსდა. მარტო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისათვის დოტაციის სახით გამოყოფილი გვაქვს 980 ათასი მანეთი. და კიდევ ერთი ციფრი — კულტურის ძეგლთა რესტავრაციას წელეულს თითქმის 1 მილიონი მანეთი მოხმარდება.

სოციუზრუნველყოფის ხარჯები ბიუჯეტში წელეულს 180,5 მილიონი მანეთის ოდენობით არის გათვალისწინებული. ამ ფულს მიიღებენ პენსიონერები, რომელთა რაოდენობა საქართველოში 265 ათას აღწევს. მრავალშვილიანი დედებისათვის გამოყოფილია 7 მილიონი მანეთი, დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფო აგრეთვე მარტოხელა დედებსა თუ იმ მოხუცებს, რომლებსაც მომვლელი არ გააჩნიათ.

არა მგონია, რაიმე კომენტარებს საჭიროებდეს ჩვენში სპორტის აღმავლობა. ქართველ სპორტსმენებს ახლა მთელ მსოფლიოში იცნობენ. ახალი სტადიონების, სპორტული მოედნებისა თუ საცურავი აუზების მშენებლობა რესპუბლიკის ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1970 წელს ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებებზე 2 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

● თქვენ, როგორც საქართველოს ჰადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, ფინანსების განაწილებისას სპორტს, ალბათ, გარკვეული სიმპათიით ეკიდებით?

სპორტის ქომაგად და პატივისმცემლად ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტზე გავლენის მოხდენა პირადულ დაინტერესებას არ შეუძლია. ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. საფინანსო გეგმებს თავდაპირველად იხილავენ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, სასოფლო და სადაბო საბჭოებში, სამინისტროებსა და უწყებებში. დგება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იხილავს. მერე მას ავკარგიანობაზე უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისია მსჯელობს, ყოველივე ამის შემდეგ კი სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია ამტკიცებს და იგი კანონის სახეს იღებს. ეს კანონი რესპუბლიკის აყვავებასა და განუხრელ წინსვლას ემსახურება. აი რატომ უწოდებენ ჩვენს ბიუჯეტს ხალხის დღევანდელი კეთილდღეობისა და ბედნიერი მომავლის ბიუჯეტს.

ინტერვიუ მინისტრთან

რაც ყველას გვეხება



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

17-18 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია.

ხალხის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა სესიაზე განიხილეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს ეხება.

პირველი საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში ბუნების დაცვის მდგომარეობის, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს ეხებოდა. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი ზაალ გელდიაშვილი, ხოლო თანამოხსენებით — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი იოსებ ნონეშვილი.

როგორც ზაალ გელდიაშვილმა, ისე პოეტმა იოსებ ნონეშვილმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა უნდა გაკეთდეს ჩვენი დედაბუნების უკეთ მოსავლელად, რომ საჭიროა მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რესპუბლიკის მთელმა საზოგადოებრიობამ შეასრულონ ბუნების დაცვის კანონები.

მეორე დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სესიამ განიხილა, საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსების დამტკიცება გახლდათ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი პაპაკი კარანაძე.

უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქორწინო და საოჯახო კანონპროექტის განხილვა თვალნათლივ მეტყველებს იმ დიდ ზრუნვაზე, რასაც ჩვენში ოჯახის განვითარებასა და განმტკიცებაზე იჩენენ. დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი“, რომელშიც წინამორბედთან შედარებით, მრავალი ცვლილებაა გათვალისწინებული. ახალი კოდექსი კიდევ უფრო აძლიერებს შეგობრული, მყარი ოჯახის შექმნის იურიდიულ საფუძველს.

მუშაობის დასასრულს სესიამ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც გამოცემულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე და მეშვიდე სესიებს შუა პერიოდში.

მოხსენებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გამოვიდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი ზინაიდა კვაშაძე.

ოფიციალური ცნობები

ინფორმაციები

18 დღე-ღამე კოსმოსში

ორბიტალური ფრენის მეცხრამეტე დღეს, 1970 წლის 19 ივნისს, 14 საათსა და 59 წუთზე დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ხანგრძლივი ფრენის პროგრამის შესრულების შემდეგ „სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდი დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გათვალისწინებულ რაიონში, 75 კილომეტრზე ქალაქ ყარაღანდის დასავლეთით.

დედამიწაზე დაშვების ადგილზე კოსმონავტებს ანდრიანე ნიკოლაევსა და ვიტალი სევასტიანოვს გულთბილად შეხვდნენ საძიებო ჯგუფის წარმომადგენლები, სპორტული კომისრები, მეგობრები და ჟურნალისტები.

შეხვედრის ადგილას მოწყობილმა ეკიპაჟის ოპერატიულმა სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ კოსმონავტებმა კარგად გადაიტანეს ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა.

აი რა განაცხადა „სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟმა დაშვების ადგილას:

ფრენის დროს, რომელიც 18 დღე-ღამეს გრძელდებოდა, შესრულდა მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტების რთული პროგრამა, მოეწყო სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის კომპლექსი, ახალი აპარატურისა და აგრეგატების გამოცდა ხანგრძლივ კოსმოსურ ფრენაში.

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი დედამიწის გარშემო ორბიტალურ ფრენაში იყო 424 საათი. ასეთი ხანგრძლივი ექსპერიმენტი, რომლის დროს ადამიანი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა კოსმოსური ფრენის პირობებში, პირველად განხორციელდა.

ყველაზე პოპულარული

ტოკიო, 17 ივნისი. (საკდესი). ოსაკაში გამართულ მსოფლიო გამოფენა „ექსპო-70“-ზე სსრ კავშირის პავილიონი ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს დამთვალიერებელთა შორის, წერს გაზეთი „იომიური“. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს „ექსპო-70“-ზე უცხოელთა გამოკითხვის მონაცემები.

გამოჰკითხეს 73 ქვეყნის 1.840 დამთვალიერებელს. გამოკითხვის დროს პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა პავილიონი. 474 კაცმა განაცხადა, სსრ კავშირის პავილიონი საუკეთესოაო გამოფენაზე. მეორე და მესამე ადგილები (213 ხმა) გაიწილეს იაპონიის სახელმწიფო და იაპონიის „მიცუბიშის“ კომპანიის პავილიონებმა. ამერიკის შეერთებული შტატების პავილიონი პოპულარობით მეოთხე ადგილზე (198 ხმა) აღმოჩნდა, საფრანგეთის, ინგლისის, ინდოეთის, ფილიპინების, მექსიკის, ახალი ზელანდიის გამოკითხულ წარმომადგენელთა უმრავლესობამ თავიანთი ქვეყნების პავილიონებს ამჯობინა სსრ კავშირის პავილიონი.

საბჭოთა პავილიონი, წერს „იომიური“, ალბათ იმიტომ სარგებლობს დიდი პოპულარობით, რომ მასში შინაარსიანად არის ახახული საბჭოთა კავშირის კულტურა, ხელოვნება და მეცნიერება.



პიონერული გაფხული

უკან დარჩა ყველაზე პასუხსაგები და მოუსვენარი დღეები მოსწავლეთა ცხოვრებაში — გამოცდები. ზაფხული ძალაში შევიდა და ჩვენმა პატარებმა დასასვენებლად მიაშურეს სოფლებს, სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, პანსიონატებს. განსაკუთრებული ხალისით ეწვივნენ მოზარდები პიონერთა ბანაკებს, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში 200-ს აღემატება. 70 ათასზე მეტი ბავშვი დაისვენებს წლეულს კოჯორში, წყნეთში, კიკეთში, ბორჯომის ხეობაში, აფხაზეთში, აჭარაში. საქართველოს ყველა კუთხეში გაისმის ბედნიერი პატარების მხიარული ხმები, მთებსა და ველებს აცოცხლებენ წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები.

ქართველი ნორჩები სისარულით ხვდებიან მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ თანატოლებს, გულღიად მასპინძლობენ ტომსკის, ჩუკოტკისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების გამოგზავნილებს. ახლახან მიწისძვრამ ძალზე დააზიანა დაღესტანი. 300-ზე მეტი ბავშვი გამოგზავნეს დაღესტნელებმა საქართველოში დასასვენებლად, რომლებიც ნორჩმა თანატოლებმა სიყვარულით ჩაიკრეს გულში.

სურათებზე: ზევით — „მზის ჩასვლამდე იმ მწვერვალზე უნდა ავიდეთ“... ქვევით — ნორჩ ტურისტთა ღამის ბანაკი.

ზოთა ჩხეიძის ფოტო



ნორჩთა საგამოფენო დარბაზი


ჩვენი რესპუბლიკის პატარებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — ესთეტიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტთან გაიხსნა ბავშვთა მხატვრული ნამუშევრების მუდმივმოქმედი საგამოფენო დარბაზი, რაც დიდი მოვლენაა როგორც ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, ისე პედაგოგებისა და მთელი ქართველი საზოგადოებრიობისათვის. მუდმივმოქმედი საგამოფენო დარბაზის გახსნა საშუალებას მისცემს თითოეულ მოსწავლეს გამოფინოს თავისი ნამუშევარი და გაეცნოს სხვის შემოქმედებასაც.

ამჯერად გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, ქანდაკების, ჭედური ხელოვნების, ხეზე ძერწვის, კერამიკისა და ხელსაქმის ხუთასამდე ნაწარმოები. გამოფენაში მონაწილეობენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ნორჩები.

ბავშვთა ნამუშევრების საგამოფენო სალონის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვიქტორია სირაძე, საქართველოს განათლების მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი, მინისტრის მოადგილე შანგი ობოლაძე და სხვა ოფიციალური პირები.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი



იშვიათად რომელსამე ქართველ მეცნიერს ისეთი სახელი და დიდება ხვდომოდეს წილად, როგორიც ივანე ბერიტაშვილს — მრავალთაგან ფიზიოლოგთა პატრიარქად აღიარებულ მეცნიერს. თუ დღეს ქართველმა ფიზიოლოგებმა თავიანთი სახელი მსოფლიოს მეცნიერების დიდ ახპარეზზე გაიტანეს, ეს მეტწილად ივანე ბერიტაშვილის მადლის ნაყოფია: საქართველოში არ არის არც ერთი ცოტად თუ ბევრად გამორჩენილი ფიზიოლოგი, რომ იგი ბერიტაშვილის უშუალო მოწაფე ან მისი მოწაფის მოწაფე, მისი მეცნიერული „შვილიშვილი“ არ იყოს. უკვე 50 წელიწადზე მეტია ქართული ფიზიოლოგიის ეს დედაბოძი თავის სამშობლოში მოღვაწეობს და წელთა სიმძიმის მიუხედავად (წლეულს, იანვარში, 85-ს გადააბიჯა), დღესაც დაუცხრომელი გარჯითა და ახალგაზრდული გატაცებით ხელმძღვანელობს საქართველოში ნეიროფიზიოლოგიას — ფიზიოლოგიის იმ მიმართულებას, რომელიც ნერვული სისტემის მოქმედებას შეისწავლის.

როცა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა რეალობად იქცა და ქართველთა განმანათლებელმა ივანე ჯავახიშვილმა თბილისში მოუხმო რუსეთის ყოფილ იმპერიაში გაბნეულ ყველა თანამემამულეს, ვისაც მეცნიერული მუშაობის უნარი შესწევდა, მათ შორის ახალგაზრდა ივანე ბერიტაშვილიც იყო. 1919 წელს ივანე ჯავახიშვილის მოწვევით იგი, ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, სამუშაოდ თბილისში გადმოვიდა. მან უყოყმანოდ მიატოვა კარგი სამუშაო პირობები, არად ჩააგდო ის, რომ ოდესაში მას, როგორც მეცნიერს, უკვე საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული და თბილისის უნივერსიტეტში, თითქმის ცარიელ-ტარიელზე, საშვილიშვილო საქმე იტვირთა. აქ მას არც თანამშრომლები ჰყავდა და არც არა გააჩნდა რა აპარატურიდან, რომ ექსპერიმენტული მუშაობა წამოეწყო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცარიზმის რუსეთში, რომლის მივარდნილ პროვინციად ითვლებოდა საქართველო, ოცნებაც შეუძლებელი იყო ეროვნული მეცნიერების, და საერთოდ ეროვნული კულტურის განვითარებაზე. ამიტომ იყო, რომ მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში სახელმოხვეჭილი აკადემიკოსი ივანე თარხნიშვილი პეტერბურგში მოღვაწეობდა, თუმც გული სამშობლოსაკენ მოუწევდა და იმაზე ოცნებობდა, რომ თბილისში პატარა ფიზიოლოგიური ლაბორატორია მაინც მოეწყო და აქ ემუშავნა. 1908 წელს მიიცვალა იგი რუს მეცნიერად, ტარხანოვად ცნობილი. იმავე წელს სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა მერე ივანე, ისიც ბერიტოვად მონათლული — პეტერბურგის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ივანე ბერიტაშვილი.

თავისთავად ცხადია, ახალდაარსებულ უნივერსიტეტში მოღვაწეობას ბევრი რამ აძნელებდა. იმ დროისთვის ქართულ ენაზე არა თუ სახელმძღვანელოები, მეცნიერული ტერმინოლოგიაც კი არ იყო შემუშავებული. ახლადარჩეულმა პროფესორმა ბერიტაშვილმა იმთავითვე მოჰკიდა ხელი ქართული სახელმძღვანელოს შექმნას და სულ მალე, 1920-21 წლებში, ორტომიანი ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო დასტამბა. ამას მალე პირველი მეცნიერული ნაშრომებიც მოჰყვა ქართულად ფიზიოლოგიაში. მრავალი, თითქოსდა დაუძლეველი დაბრკოლების გადალახვით ახალგაზრდა მეცნიერმა შესძლო იმ დროისთვის პირველხარისხოვანი ფიზიოლოგიური ლაბორატორიის მოწყობა.

თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ბაზაზე ივანე ბერიტაშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების დღიდანვე, 1941 წლიდან, მის სისტემაში გადავიდა. ამ ინსტიტუტის მეცნიერულ პროდუქციას კარგად იცნობენ და აფასებენ მთელი ქვეყნის ნეიროფიზიოლოგები, პირადად ივანე ბერიტაშვილის ნაშრომებს კი მუდამ განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებიან არა მარტო ნეიროფიზიოლოგები, არამედ სხვა, მომიჯნავე დარგების სპეციალისტებიც. ამიტომ იყო, რომ ივანე ბერიტაშვილის მონოგრაფია — „უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის ნერვული მექანიზმები“, რომელიც თავდაპირველად რუსულად გამოქვეყნდა, ინგლისურად გამოსცეს ბოსტონში. ხოლო 1969 წელს, როცა გამოვიდა ქართველი მეცნიერის მეორე მონოგრაფია „ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა“, ავტორს ერთდროულად რამდენიმე უცხოურმა გამომცემლობამ სთხოვა წიგნის გამოცემის ნებართვა და ამჟამად ეს მონოგრაფიაც იბეჭდება ვაშინგტონში ინგლისურად. ივანე ბერიტაშვილის ვრცელი ნაშრომი — „ცუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია“, რომელიც შარშან მესამე გამოცემად დაისტამბა სამ ტომად, აღინიშნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიით, ხოლო უმაღლესი ნერვული მოქმედების დარგში გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის მას პავლოვის სახელობის პრემია მიენიჭა.

ვრცელია ივანე ბერიტაშვილის კვლევის დიაპაზონი: მას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, დაწყებული ცუნთისა და ნერვის ფიზიოლოგიიდან, დამთავრებული ცენტრალური ნერვული სისტემის ისეთი რთული მოქმედებით, როგორიც არის, თვით ივანე ბერიტაშვილის ტერმინი რომ ვიხმაროთ, ფსიქონერვული მოქმედება...

იმ უმრავლეს მეცნიერულ მონაპოვართაგან, რომლებმაც ივანე ბერიტაშვილს საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი, მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ. ივანე ბერიტაშვილი და მისი მოწაფეები საბჭოთა კავშირში პირველთაგანნი იყვნენ, ვინც ტვინში აღმოცენებული ელექტრული ეფექტების საკვლევად ტექნიკის თანამედროვე მიღწევა — ოსცილოგრაფიული მეთოდიკა გამოიყენა. ამ მიმართულებით ნაწარმოები კვლევის შედეგად, ივანე ბერიტაშვილმა გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რას უნდა წარმოადგენდეს იდუმალებით მოსილი ეგრეთ წოდებული შეკავების პროცესი, რომელიც ტვინში აღმოცენდება მეორე ძირითად პროცესთან, აგზნებასთან ერთად. ივანე ბერიტაშვილის აზრით, შეკავებას საფუძვლად უნდა ედოს ნელი ელექტრული პოტენციალები, რომლებიც ნერვული ერთეულის — ნეირონის დენდრიტულ ნაწილში აღმოცენდება. ამ შეხედულებას წინ უსწრებდა ივანე ბერიტაშვილის მიერ ჯერ კიდევ ადრევე აღმოჩენილი და მისი თანამშრომლების მიერ მრავალნაირად ექსპერიმენტულად შესწავლილი ფაქტი, რომ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ერთ ადგილას აღმოცენებული შეკავება ცოტად თუ ბევრად მთელ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ვრცელდება (ზოგადი შეკავების პრინციპი).

ივანე ბერიტაშვილმა დაწვრილებით გამოიკვლია ცხოველთა და ადამიანის პირობით-რეფლექსური მოქმედება და ამ მოქმედების დამახასიათებელი მრავალი კანონზომიერებაც აღწერა. მაგრამ ამ მიმართულებით ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ იგი თანდათან მივიდა ისეთ თეორიულ მოსაზრებამდე, რაც დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა წინათ ფიზიოლოგიაში გაბატონებულ აზრს, თითქოს ცხოველთა ქცევას საფუძვლად ედოს მხოლოდ რეფლექსური მექანიზმები. მან მრავალნაირად დაასაბუთა, რომ, მართალია, ადამიანისა და უმაღლესი ხერხემლიანი ცხოველების ქცევაში რეფლექსურ მექანიზმებს, კერძოდ, პირობით-რეფლექსურ მოქმედებას მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება, მაგრამ ნერვული მოქმედების უმაღლესი ფორმა ფსიქოლოგიური მოქმედებაა, რომელიც საფუძვლად უდევს არარეფლექსურ, ფსიქიკურ მოქმედებას. ივანე ბერიტაშვილმა აღწერა ფსიქონერვული მოქმედების სახეები და ამ ურთულესი უმაღლესი ნერვული მოქმედების შესწავლა თავისებური, ახლებური გეზით წარმართა.


ივანე ბერიტაშვილისა და მისი მოწაფეების მუშაობის ბოლო პერიოდი ხასიათდება იმით, რომ ისინი ერთი მხრით იკვლევენ ემოციების ფიზიოლოგიურ საფუძვლებს, ხოლო მეორე მხრივ — მეხსიერების მექანიზმებს. მათ მრავალი საინტერესო ფაქტი აღმოაჩინეს თავის ტვინის იმ სტრუქტურების გამოკვლევით, რომლებიც ემოციების წარმოშობაში მონაწილეობენ და ფართოდ გაშალეს მუშაობა მეხსიერების საფუძვლების გამოსარკვევად. მეხსიერების რთული პრობლემის კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიოლოგთა მონაწილეობით: ამ პრობლემას ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლიან ნეიროქიმიკოსებიც და ბიოფიზიკოსებიც, შეისწავლიან რადიობიოლოგებიც, ნეირომორფოლოგებიც, რომლებიც კვლევისათვის იყენებენ არა მარტო ჩვეულებრივ, სინათლის მიკროსკოპს, არამედ ელექტრონულ მიკროსკოპსაც, რომელსაც ძალუძს დასანახი ობიექტი რამდენიმე ასეულ ათასჯერ გაადიდოს.

ივანე ბერიტაშვილისაკენ სხვადასხვა ქვეყნიდან მუდამ მოეშურებიან ახალგაზრდებიც და ხნიერებიც: სურთ მისი პირადი ნახვა, მასთან გასაუბრება, ამა თუ იმ საჭირბოროტო მეცნიერულ საკითხზე მისი აზრის გაგება. ვისაც ჩამოსვლის საშუალება არ გააჩნია, იგი წერილობით ესაუბრება ფიზიოლოგიის პატრიარქს.

ივანე ბერიტაშვილი სამი აკადემიის ნამდვილი წევრია: საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა, საბჭოთა კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა. იგი საპატიო წევრია ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიისა, თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელექტროენცეფალოგრაფისტების საზოგადოებისა, იგი წევრ-კორესპონდენტია ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოებისა აშშ-ში და კანადის უმაღლესი ნერვული მოქმედების შემსწავლელი კოლეგიუმისა. არის საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების დამაარსებელი და მისი უცვლელი თავმჯდომარე. უხუცესი მეცნიერი მთავრობამ მრავალი ორდენითა და მედლით დაჯილდოვა, ხოლო დაბადების 80 წლისთავზე სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიანიჭა.

იმის მიუხედავად, რომ ქართული ფიზიოლოგიის მამამთავარს ამ ბოლო დროს ჯანი რამდენადმე შეერყა, იგი სულიერად მაინც მხნედ არის და სულ ახალი და ახალი, საინტერესო გამოკვლევების გეგმებს უსახავს თავის თანამშრომლებს.

ჟურნ. ძიძიშვილი,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.



წიგნი რიჰარდ მეკელაინზე

საფრანგეთის აკადემიის მიერ 1928 წელს გამოქვეყნებული ცნობარის თანახმად, მსოფლიოში 3.000-მდე ენაა. ამ ენათა შორის ქართული ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესია, მას 1500 წლის წერილობითი ისტორია აქვს. ამიტომ, საზღვარგარეთის ქვეყნების მკვლევართა ინტერესი ქართულისადმი ბუნებრივია. ამჟამად მას სწავლობენ გერმანიის ორსავე ნაწილში, ამერიკაში, ინგლისში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, უნგრეთში, საფრანგეთში, ბულგარეთში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში.

ქართული ენის საკითხებს სპეციალური შრომები უძღვნა ბევრმა ცნობილმა მეცნიერმა. ამ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგი და ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის ფუძემდებელი რიჰარდ მეკელაინი (1889-1948).

მეკელაინს გულით უყვარდა ჩვენი ხალხი, მისი სულიერი კულტურა, ბუნება. ილია ჭავჭავაძის სიტყვები, თქმული არტურ ლაისტის მისამართით, მთლიანად და სავსებით შეიძლება გავიმეოროთ მეკელაინის მიმართაც. მართლაც „შორეული თავისიანი“ იყო ეს შესანიშნავი გერმანელი ქართველოლოგი.

მეკელაინის სახელი შუხართთან, ლემან-ჰაუპტთან, ლაფჩინსკისა და სხვების სახელებთან ერთად, გერმანელი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობის სიმბოლო გახდა. ამიტომ უდავოდ კარგი საქმე გააკეთა გამომცემლობა „ნაკადულმა“ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სირა ჭიჭინაძის ნაშრომის „უცხოელი მეგობრის“ გამოცემით.

მოცულობით პატარა, მაგრამ დიდი შინაარსის შემცველი ეს წიგნი დაწერილია წრფელი გულით, დაკვირვებით, ცოდნითა და დიდი სიყვარულით. მისასალმებელია, რომ შარშან გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა სირა ჭიჭინაძის იგივე ნაშრომი გერმანულ ენაზე სათაურით „ჩვენი კეთილი მეგობარი“. ასეთი შრომების გამოქვეყნება ხელს უწყობს ხალხთა დაახლოებასა და ურთიერთმეგობრობის განმტკიცებას.

წიგნში ვეცნობით რიჰარდ მეკელაინის ბიოგრაფიას, მისი ცხოვრების გზას. სირა ჭიჭინაძე ამ ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს გადმოგვცემს ძალზე საინტერესოდ, მარტივი, სადა ენით. თვით სპეციალურ ენათმეცნიერულ საკითხებზე მსჯელობის დროსაც კი წიგნი ინტერესით იკითხება.

მეკელაინი მრავალფეროვან მეცნიერულ-კვლევითს მოღვაწეობას ეწეოდა. იგი დაინტერესებული იყო არა მარტო ქართულითა და ქართველური ენებით, არამედ სლავური, პოლონური, ფინურ-უნგრული, ურარტული, ესპანური, სერბოკროატული, იუგოსლავური, ჩეხური და სხვა ენებითაც. მან ეს ენები იცოდა, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად. ასე რომ, მეკელაინი ჩვენი დროის ერთ-ერთი ნიჭიერი პოლიგლოტი იყო.

ავტორი მეკელაინის მეცნიერულ მოღვაწეობას უმთავრესად ქართველოლოგიის განხრით განიხილავს, დიდად აფასებს გერმანელი მკვლევარის ისეთ შრომებს, როგორიც არის: „გერმანული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო ქართველებისათვის“, „ქართული გრამატიკული და ლექსიკური ლიტერატურა“, „კავკასიის დღევანდელი ხალხები და მათი ენები“, „ქართული შრიფტის ისტორია და ქართული სტამბის დაარსება“, „გერმანული ენის სახელმძღვანელო ლექსიკონითა და ქრესტომათიით ქართველებისათვის“, „ქართულ-გერმანული სიტყვარი“, „ქართული ენის სახელმძღვანელო“, „გერმანულ-ქართული ლექსიკონი“ და სხვა.

რიჰარდ მეკელაინი იყო ჟურნალების — „ევროპის მოამბისა“ და „წინა აღმოსავლეთის“ დაარსების ორგანიზატორი. მისი რედაქტორობით გამოდიოდა „აისის ქვეყანა“, მან შექმნა საქველმოქმედო ხასიათის „რუსთაველის საზოგადოება“.

ამ დიდ მეცნიერს ისე ძლიერ უყვარდა ქართველი ხალხი და საქართველო, რომ თავისი ორი შვილი, ქალ-ვაჟი, ქართველებს — კონსტანტინე გამსახურდიასა და რაფიელ ნიჟარაძეს მოანათლინა.

საინტერესოა, რომ მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას ნათლული — ვოლფგანგი ჩვენი საყვარელი მწერლის სახელსაც ატარებს — ვოლფგანგ (კონსტანტინე) მეკელაინი.

მეკელაინის შესახებ დაწერილი ეს წიგნი მნიშვნელოვანი და სასიამოვნო შენაძენია ჩვენი მკითხველისათვის.

რაფიელ შამელაშვილი, დოცენტი.

ქართული კულტურის ცენტრები

„საჯარო“

ნიგნსაცავები ტაძრებს ჰგვანან იმით, რომ ერთსაც და მეორესაც მორწმუნეები ჰყავს.

წიგნსაცავებში, როგორც ტაძრებში, მოკრძალებით დადიან. ორივე მათგანი ერის განთლების მაცნეა, თუმცა მათ შორის განსხვავებაც დიდია; ერთს ძალღონე მისცემია, მხრები ვაუშლია და ქვეყანა დაუპყრია, მეორე კი — ძლეული, ცხოვრებისაგან განზე გამდგარა და თითქმის მთელი თავისი მრევლი ამ ახალმოზარდისათვის დაუთმია.

ერთი დღევანდელი დღეა, მეორე ისტორიაა.

ორივე ჩვენია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ პირველზე — საქართველოს მთავარ წიგნსაცავზე გვინდა ვისაუბროთ, რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაზე, რომელსაც თბილისელები უბრალოდ „საჯაროს“ ვეძახით.

„საჯაროს“ ისტორიიდან განსაკუთრებით ის არის ღირსშესანიშნავი, რომ მის დაარსებას თაოსნობდნენ ცნობილი მწერლები და მოღვაწეები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, ზაქარია ერისთავი, მიხეილ თუმანიშვილი... თავდაპირველად 510 ტომი შეიკრიბა, 1846 წელს მეფის ნაცვლის კანცელარიის ბიბლიოთეკა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკად გამოცხადდა და შეგროვილი ფონდიც მას გადაეცა.

საცავი თანდათან მდიდრდებოდა, უმთავრესად, კერძო შემოწირულებათა ხარჯზე. მოგვიანებით მის გამგებლობაში გადავიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმდიდრესი ფონდი. მოგზაურები მას იხსენებენ როგორც აზიაში საუკეთესოს.

სადგომიც არაერთხელ გამოიცვალა. მეფის ნაცვლის კანცელარია, ვახტანგ ორბელიანისეული სახლი, სამხედრო საკრებულო ტაძარი... დღევანდელ შენობაში კი, რომელიც წინათ სათავადაზნაურო ბანკს ეკუთვნოდა, „საჯაროელები“ 1929 წელს დაბინავდნენ. ეს სახლი თავის დროზე არქიტექტორ ანატოლ კალგინის პროექტით აშენებულა. იგი დედით ქართველი, ქართულ კულტურაზე აღზრდილი ყოფილა. ამბობენ, მოხუცებულობაში ხშირი სტუმარი იყოო აქაურობისა. დაფიქრებული შემოივლიდა დერეფნებსა და დარბაზებს, ახედ-დახედავდაო...

შენობა მართლაც ღირს ასახედ-დასახედად. ქვემოთ, პირველ სართულზე მშვენიერი თეთრი დარბაზია, რომელიც ორად გადაუტიხრავთ; ერთი მეცნიერ მუშაკებს ემსახურება, მეორეში კი პერიოდიკაა მოთავსებული. მეორე სართულზე საერთო დარბაზია, ერცერი, განიერი, ულამაზესი სარკმლებით დამშვენებული — ორას ორმოცი კაცის სამკითხველო. არის სხვა, შედარებით მომცრო დარბაზებიც. შენობის მთელი მომხიბვლელობა მის თაღებსა და სვეტებშია, აქ ყველაფერი დიდი გულმოდგინებით მოუჩუქურთმებიათ. ქვა დამუშავებულია მეჩუქურთმეების — ძმების ნეოფიტე და ვლადიმერ აგლაძეების ხელით.

ოცდაათი ათასამდე მუდმივი მკითხველი დადის აქ, ყოველდღიურად ათიათასამდე წიგნი თუ პერიოდული გამოცემა მოითხმარება. საცავის თაროებზე, რომელთა სიგრძე ათეულობით კილომეტრია, რვა მილიონზე მეტი წიგნია. დღეში საშუალოდ ორას ორმოცდაათამდე ახალი გამოცემა შემოაქვთ, ჟურნალ-გაზეთებთან ერთად ისინი წელიწადში ოთხასი ათასამდე ერთეულს შეადგენენ. ას ათასოცდაათზე მეტი მარტო ბიბლიოთეკარია.

„საჯაროს“ სიმდიდრეთაგან გამოირჩევა იშვიათ წიგნთა ფონდი: აქ არის მე-13 საუკუნის ხელნაწერი სახარება, სტეფანე პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონი, აქვეა ქართული ენის პირველი გრამატიკა, რომში გამოცემული მაჯიო ფრანცისკო მარიას მიერ 1670 წელს; თბილისის სტამბის პირველი წიგნი (ვახტანგისეული სახარება) — 1709 წლისა; ამავე სტამბის პირველი, მხედრულით აწყობილი „სწავლა შვიდისა საიდუმლოსი“ — 1711 წლისა...

სეიფში არის პირველი საერო გამოცემაც — „ვეფხისტყაოსანი“ 1712 წლისა, და მომდევნოებიც — მოსკოვური და პეტერბურგული, უზარმაზარი ტანის ბიბლია ვახტანგის ძის ბაქარის წინასიტყვაობით და ვახუშტი ბატონიშვილის ბოლოსიტყვაობით.

აღა-მაჰმად ხანის შემოსევის დროს სტამბა თბილისიდან აყრილა და მთებში გახიზნულა. სეიფი ინახავს რაჭაში, სოფელ წესში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილ წიგნებს.

[illegible] ალექსანდრე ხახანაშვილის იუბილეზე პეტერბურგის ქართველებისაგან საჩუქრად მირთმეული „ვეფხისტყაოსანი“, ქართველიშვილების გამოცემა 1888 წლისა, რომელსაც ქალაქ მაინცში გუტენბერგის საიუბილეო გამოფენაზე პრემია მიუღია.

იშვიათობას ფონდში ინახება მეტად ძვირფასი რუსული, სომხური თუ უცხოური წიგნები, მათ შორის ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ რომაული ილუსტრაციები მეთექვსმეტე საუკუნისა, შარდენის კავკასიაში მოგზაურობის პირველი, 1886 წლის გამოცემა და სხვა.

თაროებზეა უძველესი ქართული პერიოდიკაც — „საქართველოს გაზეთი“ და „ქართული გაზეთი“ 1820-21 წლებისა, ორორ ფურცელზე დაბეჭდილი, ზოგი რვეულის ზომისა და ზოგიც — მოზრდილი...

სათუთად ინახება ზოგიერთი საზოგადო მოღვაწის პირადი კოლექციებიც: პეტერბურგიდან გამოგზავნილი სარკიზოვ-სერაზინის რჩეული, მდიდარი ბიბლიოთეკა კავკასიისა და საქართველოს შესახებ. დიმიტრი ბაქრაძის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ხახანაშვილის წიგნები, ეკატერინე ჭავჭავაძის ალბომი, ნაცნობი თუ უცნობი ლექსებითა და ფაქიზი ნახატებით, ალექსანდრე ჭავჭავაძის ავტოგრაფები...

ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის საშუალებით „საჯაროს“ ხელი მიუწვდება, ერთი მხრივ საბჭოთა კავშირისა თუ საზღვარგარეთის ბიბლიოთეკებთან, რომელთაც მოთხოვნილებისამებრ უგზავნის და მათგანაც იღებს სასურველ ლიტერატურას, მეორე მხრივ კი ხელს უმართავს რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს არა მარტო წიგნების მიწოდებით, არამედ მეთოდური რჩევითაც, აწყობს სოფლის ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, კონფერენციებს, სემინარებს...

წიგნსა და კატალოგებზე თავდახრილი ადამიანები მეცნიერულ მუშაობასაც ეწევიან. აქ შეუდგენიათ უჩა ჯაფარიძის, ვერიკო ანჯაფარიძის, იოსებ ნონეშვილის ბიბლიოგრაფიები, კატალოგები ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკისა, ნიკო ნიკოლაძის არქივისა. გაზეთ „ივერიის“ დამუშავების დროს ელია ჭავჭავაძის რამდენიმე უცნობი წერილისთვისაც მიუკვლევიათ.

როგორია „საჯაროს“ მომავალი?

არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა აშენდეს დაზღვეული, რვასართულიანი საცავი 3,6 მილიონი ტომისათვის. იგი ახლანდელ შენობას ფურცელაძის ქუჩიდან მიედგმება განათლების ქუჩის გადაკვეთამდე. დიდი გეგმით ბიბლიოთეკა ორსავე ფრთაზე გაფართოვდება, ფურცელაძისა და ვაჩნაძის ქუჩების გასწვრივ, კოლმეურნეობის მოედნამდე და მთელ კვარტალს დაიჭერს.

ასეთია ცხოვრება ჩვენი საგანძურისა, ურომლისოდაც ჯერ არც ერთი განათლებული ქართველი არ გასულა სამეცნიერო გზაზე. „საჯარო“ ქართული კულტურის საპატიო, დამსახურებული მოღვაწეა, რომლის უკვდავება თვით ჩვენმა საუკუნემ უზრუნველყო.

ეთერ სახვაძე

„მე ვხედავ მზეს“ თურქულად

თურქეთის მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ცნობილმა პროზაიკოსმა ჰალდუნ თანერმა ნობათი გამოგზავნა საქართველოში. ეს არის თურქულ ენაზე კრაიორენის მიერ თარგმნილი ნოდარ დუმბაძის ცნობილი რომანი „მე ვხედავ მზეს“. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებთა 15 უცხოურ გამოცემას მეთექვსმეტე — თურქულიც მიემატა.

კლუბი „უკრაინა“

თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა კლუბი „უკრაინა“, რომლის მიზანია უკრაინის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის საკითხების ინტენსიური, სისტემატური კვლევა, ქართველ უკრაინოლოგთა და უკრაინელ ქართველოლოგთა კადრების მომზადებისათვის ზრუნვა, უკრაინის შემომქმედებით ორგანიზაციებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცება.

კლუბ „უკრაინის“ თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი ოთარ ბაქანიძე, მდივნად — დოცენტი ნია აბესაძე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ხუთ ენაზე

ფართო საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატის კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანებსა და ნოველებს. მისი ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა ხალხისა და ევროპის მრავალ ენაზე.

ახლახან მისი მოთხრობები კიდევ ხუთ ენაზე ითარგმნა.

წიგნის მოყვარულ საზღვარგარეთელ მეგობრებს შეუძლიათ კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ ინგლისურ ენაზე წაიკითხონ. იგი ამას წინათ გამომცემლობა „პროგრესმა“ გამოაქვეყნა. რომანის მთარგმნელია ცნობილი ინგლისელი ლიტერატორი რობერტ დარგინი. წიგნს ერთვის გრიგოლ აბაშიძისა და გიორგი მარგველაშვილის წინასიტყვაობა, ყდაზე დაბეჭდილია მწერლის პორტრეტი და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

„კოლხეთის ცისკარი“ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა აგრეთვე გამომცემლობა „იზვესტია“. თარგმანი ეკუთვნის ელიზბარ ანანიაშვილს. იგივე რომანი უკრაინულად გამოსცა „დნიპრომ“. წიგნის ბოლოთქმაში მთარგმნელი ოლექსა სინიჩენკო მკითხველს აცნობს მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

კიშინიოვში მოლდავურ ენაზე გამოვიდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობებისა და ნოველების კრებული. თარგმანი შეასრულა რაბიმ.

ცხინვალში გამომცემლობა „ირისთონმა“ ოსურად გამოუშვა გიორგი ბესაოთის მიერ თარგმნილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების კრებული სათაურით — „მოგზაური“.

ვილიონი ვეტრი კინოფირი

ბრაზილი ქვეყანა შემოიარა კინოკამერით ხელში საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა გიორგი ასათიანმა. დიდი სამამულო ომის დროს მან გადაიღო ვოლგასა და კენიგსბერგთან გამართული ბრძოლებიც.

გიორგი ასათიანმა — რეჟისორ-ოპერატორმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული კინოს განვითარებაში. მის მიერ გადაღებული ფილმი მილიონ მეტრზე მეტია.

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის კინოსახლში საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა მოაწყო გიორგი ასათიანის ახალი ფილმის „ხაკისფერი სტომაქის“ განხილვა, რომელიც მან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოგზაურობისას გადაიღო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა სიკო დოლიძემ.

სიტყვით გამოვიდა ნიურნბერგის პროცესის მონაწილე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ კვესელავა.

გიორგი ასათიანმა დამსწრეთ მოუთხრო სურათზე მუშაობის ამბავი. ეს ფილმი მისთვის არის პუბლიცისტური კინონარკვევების ციკლის გაგრძელება.

ფილმში ავტორი ერთ ქალაქს — მიუნხენს გვიჩვენებს. შემაშრზენ შთაბეჭდილებას ახდენს დახაუ, მისი კრემატორიუმების ჩამქრალი ღუმელები, უკაცრიელი ბანაკების რიგი. ისინი გვაფრთხილებენ, შეგვახსენებენ, მოითხოვენ, არ დავივიწყოთ მომხდარი ტრაგედია.

ფილმის ჩვენების შემდეგ მოეწყო განხილვა. სიტყვით გამოვიდნენ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ კაკაბაძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ კიკვაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ჭარხალაშვილი და სხვები.

ამჟამად რეჟისორი მუშაობს ახალ ფილმზე, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ეძღვნება. ბევრ საინტერესო ეპიზოდთან ერთად, ფილმში აისახება მელიტონ ქანთარიასა და მიხეილ ეგოროვის მიერ გამარჯვების დროშის აღმართვა რაიხსტაგზე.

აქ საუკუნეები ცოცხლდებიან

...თუ ერთხელ მაინც ყოფილხარ სვანეთში, გინახავს მდინარე ენგურის ულამაზესი ხეობა, უშბისა და თეთნულდის სიდიადე, გინახავს მზის ამოსვლა კავკასიონის მთავრეხილებს იქით, ეს კუთხე არასოდეს დაგავიწყდება.

მაგრამ სვანეთი მარტო ეგზოტიკა როდია. იგი საქართველოს მდიდარი და საინტერესო ისტორიის ერთ-ერთი აქტიური შემქმნელი და მონაწილეა. ამაში ადვილად დარწმუნდები, თუ ეწვევი მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მესტიიდან შორს არ მოგიხდება წასვლა. იგი იქვე, რაიონის ცენტრში, თითქმის მოლაპლაპე შენობაშია მოთავსებული.

მუზეუმში მდიდრულად არის წარმოდგენილი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ჭედური ხელოვნების, საბჭოთა პერიოდის ამსახველი მასალები. არქეოლოგიურ განყოფილებაში წარმოდგენილია მესამე, მეორე და პირველი ათასწლეულის ძეგლები. არის ექსპონატები უფრო ადრინდელი ხანისაც.

მესამე ათასწლეულიდან გამოფენილია ბრინჯაოს ნაჯახი, შუბის წვერი. ნივთები იფარელ გლეხს უპოვია 1935 წელს. ძეგლები ადასტურებენ, რომ სვანეთში მეტალურგია ადრეულ ხანაში ყოფილა განვითარებული. მეტალურგიული ცენტრები უნდა ვივარაუდოთ ჭუბერში, ადიშში, ჯალაში. უკანასკნელ ხანს ჯალაში დაზვერვითი სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ზოდები, მის გვერდით კი კერამიკის გამოსაწვავი ჭურა გამოსაწვავად ჩადებული ზოდით. ასეთივე ზოდები აღმოაჩინეს სოფელ ჭუბერშიც.

მუზეუმის მნახველები დიდი ინტერესით ათვალიერებენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოჭრილ ბრძნულ და მაკედონურ მონეტებს. აქვე არის პირველი საუკუნის კოლხური მონეტები. ეს მიუთითებს სვანთა კავშირზე მაშინდელ კულტურულ სამყაროსთან.

აქ გამოფენილია მესოპტამიური ხელობის, იშვიათი ორნამენტებით შემკული საცეცხლურები. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ცნობილია ასეთი თექვსმეტი საცეცხლური, მათგან ოთხი სვანეთში ინახება. არქეოლოგიურ ძეგლებს უკანასკნელ წლებში შეემატა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ექსპედიციის მიერ სოფელ ეცერში ნაპოვნი საფქვავი იარაღები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-V საუკუნეებს განეკუთვნებიან.

მუზეუმის სიმდიდრე მაინც მისი შესანიშნავი წიგნებია. უძვირფასესი ექსპონატია ადიშის ოთხთავი, რომელიც გადამწერს შატბერდის (ამჟამად თურქეთის ტერიტორია) ქართულ მონასტერში გადაუწერია 897 წელს. წიგნი დაწერილია ასომთავრულით. საქართველოში სხვაგან არ მოგვეპოვება ამ დროს დაწერილი, ასე მთლიანად შენახული ტექსტი. იგი ინახებოდა ევროპის ყველაზე მაღალი მთიანი დასახლების — სოფელ ადიშის მაცხოვრის ეკლესიაში, რომელიც თეთნულდის კალთებზეა გაშენებული. 1948 წელს კი მუზეუმში გადმოინაცვლა.

არანაკლებ საინტერესოა „იერუსალიმის განჩინებანი“, რომელიც 328 ფურცელს შეიცავს. 1910 წელს მასზე ცნობილ მკვლევარს თედო ჟორდანიას მიუწერია, დიდი და დაუფასებელი ძეგლია მსოფლიო საეკლესიო ისტორიაშიო. აქვე ინახება მე-9, მე-10 საუკუნეების ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, ხეზე დაწერილი სასწლისა და ფიცის ძეგლები.

მუზეუმის ჭედური ხელოვნება წარმოდგენილია მეცხრე საუკუნიდან. იშვიათი ძეგლია წმინდა გიორგის ხატი. ოქრომჭედლობის შესანიშნავი ძეგლებია გიორგი მესამისადმი ამირა ქავთარის მიერ მიძღვნილი სურა, იმერეთის მეფის ბაგრატისა და მისი მეუღლის მიერ მესტიის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი შეწირული სასანთლე, ვერცხლის სურა და სხვა.

თანამედროვე სვანეთზე კარგ წარმოდგენას იძლევა ენგურის ხეტყის მრეწველობის, ოქროს, მარმარილოს, დარიშხანის წარმოების, მეცხოველეობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების განვითარების ამსახველი ექსპოზიციები.

შესანიშნავად არის წარმოდგენილი სვანეთში და საერთოდ საქართველოში ალპინიზმის განვითარების ისტორია.

აი ჩანაწერების წიგნიც:

„განცვიფრებული ვარ. რას ვიფიქრებდი, რომ აქ ასეთი უნიკალური სიმდიდრე ინახებოდა“. ჰაიტერი — ინგლისის ელჩი საბჭოთა კავშირში.

„აქ მოთავსებული ნივთები არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებია და ამ ნივთებით მსოფლიომ შეიძლება იამაყოს“, კურელა — გერმანელი მწერალი.

ენვერ ჩიქავა

ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი



ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში მნახველთა ყურადღებას იპყრობს დიდი ზომის ფერწერული ტილო, რომელზეც გამოსახულია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე.

სურათს გამოცდილი ოსტატის ხელი ატყვია. როგორც მუზეუმის საარქივო მასალებიდან ირკვევა, ეს ოსტატი ცნობილი გერმანელი მხატვარი ფრანც ქსავერი ვინტერჰალტერი (1805-1873 წლები) ყოფილა. საქართველოში კიდევ არის ამ მხატვრის ერთი სურათი — „თეთრკაბიანი ქალის პორტრეტი“, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება, ერმიტაჟში კი მისი საკმაოდ ბევრი ნაწარმოებია წარმოდგენილი.

ვინტერჰალტერმა, თავისი დროის საკმაოდ ცნობილმა ფერმწერმა და ლითოგრაფმა, სახელი გაითქვა როგორც საუცხოო პორტრეტისტმა. განსაკუთრებით ემარჯვებოდა ქალთა პორტრეტები, მათი გრაციისა და სიეკლუცის გადმოცემა.

ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი მხატვარს პარიზში შეუქმნია. როგორც ცნობილია, 1857 წელს ეკატერინე შვილებით პეტერბურგიდან პარიზს გადასახლდა. სწორედ აქ შეუქმნია მხატვარს აღნიშნული პორტრეტი. შემდეგში ეს სურათი ეკატერინეს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის — დიმიტრი უიფიანისათვის გადმოუგზავნია.

სურათის ავტორი რომ ვინტერჰალტერია, ამას ნათლად ადასტურებს დიმიტრი უიფიანის 1865 წლის 22 იანვრით დათარიღებული ბარათი ეკატერინესადმი:

„უძვირფასესო და უსასიქადულესო დედოფალო! ამ დილას ერთი დიდი შეხვეული ქაღალდი მომიტანეს, გავშალე, ვნახე თქვენი პორტრეტი; გარწმუნებთ, რომ ჩემთვის უკეთეს ჯილდოს ვერ მოიგონებდით. შეხედვა ამ პორტრეტისა და გულდამ გადაყრა ყოვლის ჯავრისა და ჭმუნვისა ერთი იქნება და, რასაკვირველია, თვალიდან არ მოვიშორებ.

როგორც მე ამ თქვენს პორტრეტს ვუყურებ, არა მგონია, ვინტერჰალტერი სტყუოდეს და ბარაქალა იმის ოსტატობას.

თქვენი უერთგულესი დიმიტრი უიფიანი“.

სულიკო ნუცუბიძე

ჩუქურთმა



ხელოვნების ტრფიალნი ყოფილან ჩვენი წინაპრები.

ხატავდნენ, აგვირისტებდნენ, ჭედდნენ, ჩუქურთმები ამოჰყავდათ ხეზე. ჟამთა სიავეს ძნელად გამოაღწიეს მხატვრულმა ნაკეთობებმა და აქა-იქ შეგვრჩნენ მხოლოდ.

თხუთმეტიოდე წლის წინათ გადაწყდა აღდგენილიყო ეს შესანიშნავი ხელოვნება. კეთილ საქმეს მოთავეები გამოუჩნდნენ — საქართველოს კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატის მთავარი მხატვარ-კონსულტანტი ალექსანდრე ჟღენტი და საამქროს უფროსი თამარ აბზიანიძე. ფეხით შემოიარეს საქართველოს ყოველი კუთხე, მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალა შეაგროვეს, გაითვალისწინეს საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთების ფორმა-მოყვანილობა. გააკეთეს ჩანახატები, ესკიზები, გაიაზრეს ქართულ ორნამენტებთან და საქართველოს კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატში ქართული სამახსოვროების სპეციალური საამქრო შეიქმნა. საფუძველი ჩაეყარა ქართული ხის განახლებულ კვეთილობას.

ვასილ საღლიანმა და თენგიზ ჟღენტმა, უშანგ ნადირაშვილმა და ტრისტან გრძელიძემ ჯარგა ხანია დაამთავრეს სამხატვრო სასწავლებელი და ახლა ხის კვეთის უბადლო ოსტატები არიან, ამოჰყავთ ჩუქურთმები, ამზადებენ ჭინჭილებსა და ფიალებს, თასებსა და კათხებს, ორშიმოებს, ხრიკებსა და აზარფეშებს. დოქებსა და სურებს. მათი ნახელავი მოსწონთ მოსკოვსა და ვილნიუსში, მინსკსა და რიგაში, კიევსა და ერევანში. მოსწონთ საზღვარგარეთაც — პოლონეთსა და კორეაში, მონღოლეთსა და იაპონიაში, თურქეთსა და გერმანიაში, ლიბანსა და ირანში, ალჟირსა და კანადაში. ბევრ საერთაშორისო გამოფენაზე მთლიანად შეიძინეს ქართული სამახსოვროები. ცხადია, ალექსანდრე ჟღენტსა და ვასილ საღლიანს ძალზე ახარებთ ამის გაგება. დიდი მოწონების გამომხატველი იყო ის მედლები, შარშან საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე რომ მიიღეს.

ახლა პარიზში, პორტ-დე-ვერსალის საგამოფენო პარკში. საქართველოს პავილიონს ამშვენებს ხის კვეთილობის ქართველ ოსტატთა ნამუშევრები — ქართული აკვანი, ქვევრები და კათხები, ქოთნები და ხრიკები, კულები და ჭინჭილები, სურები და ხელადები...

ფრანგები და პარიზის დღევანდელი სტუმრები კაკლის ხეზე ამღერებულ ქართულ ჩუქურთმას გაეცნობიან.

ჯემალ ჟურხული

ხ ე ზ ე

ეს ყველას გვეკადრება!

პროფესორი ლეო მენაბდე

რუსთაველის უკვდავი პოემა კარგა ხანია გასცდა ეროვნულ საზღვრებს და უაღრესად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო კულტურის საგანძურში. საუკუნენახევარზე მეტია, რაც მას კითხულობენ, ეცნობიან, სწავლობენ მწერლები თუ მეცნიერები. დაახლოებით ამდენივე ხანია მის შესახებ იწერება წიგნები, წერილები და შენიშვნები მსოფლიოს ხალხთა ენებზე. განსაკუთრებით ბევრი დაიწერა საიუბილეო დღესასწაულების მზადებისა და ჩატარების პერიოდში. ქართველი მკითხველებისათვის კარგად არის ცნობილი არაქართველი, უცხოელი მოღვაწეების — მარი ბროსეს, ოლივერ უორდროპის, ედმონ ჟალუს, მორის ბორუას, დევიდ ლანგის, იარომირ იედლიჩკას, რენე ლაფონის, გერტრუდ პეჩის, ვიქტორ კერნბახისა და სხვათა წერილები თუ ცალკეული გამონათქვამები. არც ისე მცირე მასალა გამოქვეყნდა უკანასკნელი წლების პერიოდიკაში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არსებობს სპეციალური კრებული, რომელშიც თავმოყრილი იყოს უცხოელ მოღვაწეთა გამონათქვამები ჩვენს სასიქადულო პოეტზე. ასეთი კრებულის საჭიროება კი კარგა ხანია მწვავედ იგრძნობა. ამან გვიკარნახა წამოგვეწყო მზადება კრებულისა: „რუსთაველი მსოფლიო სარბიელზე“.

1968 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა დაიწყო შეკრება, შერჩევა, თარგმნა და შესწავლა იმ მასალისა, რომელიც დაიწერა რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ მსოფლიოს ხალხთა ენებზე. კრებულის გამოცემა ნავარაუდევია ხუთ წიგნად. მასში შერჩევით შევა ის მასალა, რომელიც არსებობს რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე (ორი წიგნი), ევროპულ ენებზე (ორი წიგნი). თითოეულ წიგნში წარმოდგენილი იქნება როგორც თარგმნილი მასალა (გარდა რუსულისა), ისე შესავალი წერილი, ბიბლიოგრაფია და შენიშვნები.

ჩვენთვის გასაგებია, რომ ერთობ დიდ საქმეს მოვკიდეთ ხელი, მაგრამ, ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ განვაცხადებთ, რომ სწორედ თბილისის უნივერსიტეტს უნდა წამოეწყო ეს საშვილიშვილო საქმე, რადგან ძირითადად აქ არიან თავმოყრილი საბჭოთა კავშირის, ევროპისა და აზიის ხალხთა ენების სპეციალისტები, აქ არსებობს დასავლური თუ აღმოსავლური ფილოლოგიის მრავალი კათედრა. სამუშაოც კათედრების მიხედვით განაწილდა: რუსულ განყოფილებას სათავეში ჩაუდგა პროფესორი ვანო შადური, თურქულ-აზერბაიჯანულს — პროფესორი სერგი ჯიქია, სპარსულ-ტაჯიკურს — პროფესორი დავით კობიძე, ინგლისურს — პროფესორი ნატალია ორლოვსკაია, ფრანგულს — პროფესორი დავით ფანჩულიძე, გერმანულს — პროფესორი შოთა რევიშვილი და ასე შემდეგ. ნაყოფიერად ამოქმედდნენ ჩვენი მთარგმნელებიც — ნუნუ ქადეიშვილი, ნელი საყვარელიძე, ნელი ამაშუკელი და სხვები.

ჩვენი სურვილი და მიზანია კრებულში შევიდეს ყველა მნიშვნელოვანი ნარკვევი, წერილი თუ შენიშვნა ძველი თუ ახალი დროისა. ამ სურვილის განხორციელება მარტო საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეუძლებლად მივიჩნიეთ და თანამშრომლებად მოვიწვიეთ სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებიც.

დახმარებისათვის მივმართეთ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა უნივერსიტეტს, ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას, ლიტერატურულ მუზეუმს. ჩვენმა თხოვნამ სასიხარულო შედეგი გამოიღო. რუსთაველისადმი მიძღვნილი კრებულის მომზადებაში მონაწილეობა ბევრმა დაწესებულებამ გულთან მიიტანა. ჩვენი ხალხისა და მისი უდიდესი შვილისადმი უსაზღვრო სიყვარული ჩანს ბევრ წერილში, რომელიც რუსთაველის კაბინეტში მოვიდა, წერილებს მოჰყვა დიდძალი მასალა: ჟურნალ-გაზეთები, ფოტოპირები, მიკროფილმები, ბიბლიოგრაფიები და სხვა.

მომმე რესპუბლიკების საზოგადოებრიობის მხარდაჭერით გახარებულმა და გამხნევებულებმა ხმა მივაწვდინეთ უცხოელ მეგობრებსაც — თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორებს — ოსლოს უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ჰანს ფოქტსა და ლონდონის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კაბინეტის გამგეს პროფესორ დევიდ ლანგს, ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილებს — მარტინ იშტვანოვიჩს (უნგრეთში) და იან ბრაუნს (პოლონეთში), აგრეთვე ცნობილ ქართველოლოგებს — პროფესორ იულიუს ასფალგს (გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში), პროფესორ ჟერარ გარიტს (ბელგიაში), პროფესორ გერტრუდ პეჩს (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში), ვაცლავ ჩერნს (ჩეხოსლოვაკიაში), ლეა ფლურს, იოლანდა მარშევსა და რუთ ნოიკომს (შვეიცარიაში), „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს — ვიქტორ კერნბახს (რუმინეთში), გუსტავო დე ლა ტორე ბოტაროს (ჩილეში) და სხვა.

უცხოელ მეგობართაგან პირველად შევიცარიელი ქართველოლოგი ქალები გამოგვეხმაურნენ. ციურიხიდან მივიღეთ კრებული: „შოთა რუსთაველი ჟენევის უნივერსიტეტში“, რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე და რამდენსამე წერილს შეიცავს. იქიდანვე მოგვივიდა გაზეთები თუ ჟურნალების ფოტოპირები; იენის უნივერსიტეტმა პროფესორ გერტრუდ პეჩის წერილები მოგვაწოდა; ჰამბურგიდან მოგვივიდა კრებული: „შოთა რუსთაველის 800 წლისთავი“, რომელშიც გამოქვეყნებულია ქართველი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვები; ბუქარესტიდან მივიღეთ სრული ბიბლიოგრაფია და ასე შემდეგ. განსაკუთრებული დახმარება გაგვიწიეს საზღვარგარეთ მცხოვრებმა ჩვენმა თანამშრომლებმა, სახელდობრ, ივანე ბიწაძემ (ბულგარეთი), ნიკოლოზ ჯანელიძემ (გერმანია), მიხეილ კვალიაშვილმა და ნიკოლოზ მათიკაშვილმა (პოლონეთი) მოგვაწოდეს ფრიად საინტერესო რუსთველოლოგიური მასალა.

რუსთაველის კაბინეტის ბიბლიოთეკა თანდათანობით შეივსო და კრებულისათვის დიდძალი მასალა დაგროვდა. აღსანიშნავია, რომ არაერთმა პირმა, რომელსაც რაიმე მიზეზით უცხოეთში წასვლა მოუხდა, — ზოგჯერ ჩვენი თხოვნით, ზოგჯერ კი საკუთარი ინიციატივით, — ჩამოვგვიტანა ძვირფასი მასალა. მაგალითად, პროფესორმა გივი გაჩეჩილაძემ ჩამოგვიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ხორვატული თარგმანი, პროფესორმა მიხეილ კვესელავამ — რუმინული თარგმანი; დოცენტმა კარლო კალანდაძემ — მონღოლური თარგმანი, პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ — ბელგიური გაზეთები, ცნობილმა ფეხბურთელმა მიხეილ მესხმა — „ვეფხისტყაოსნის“ ესპანური თარგმანი, პროფესორმა ვარლამ დონაძემ — რუმინული გაზეთები, ცნობილი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი ინდოეთში ეწვია პოეტ ქალს ამრიტა პრიტანს, რომელიც რუსთაველის საიუბილეო დღეებში სტუმრად იყო საქართველოში და ჩვენი კაბინეტისათვის გამოართვა ჟურნალი „ნამ მონგი“ (მასში ვრცელი წერილია დიდ მგოსანზე). ასეთი მაგალითი სხვაც ბევრია.

ამ გარემოებაზე საგანგებოდ გამახვილებთ ყურადღებას, რადგან უცხოეთში უთუოდ კიდევ მოიპოვება ისეთი რუსთველოლოგიური მასალა, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ. კარგი იქნება, თუ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი გაითვალისწინებენ ყოველივე ამას და რუსთაველისადმი დიდი სიყვარულის ნიშნად რაიმე მასალას მოიპოვებენ, მოგვაწვდიან და ამ საერთო დიდ ეროვნულ საქმეში წვლილს შეიტანენ. ეს იქნება ჭეშმარიტი დაფასება ჩვენი სახელოვანი წინაპრისა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, № 1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსთაველის კაბინეტი.

„ზღაპრული მხარის სიმღერები“

ჰოლონეთში გაიმართა საბჭოთა კულტურის დღეები, რომელშიც ქართველ მსახიობთა ჯგუფიც მონაწილეობდა. მათ 17 კონცერტი მოაწყეს სხვადასხვა ქალაქში და ქართულ მუსიკას ახალი თაყვანისმცემლები შესძინეს. პოლონეთის საზოგადოებრიობისა და პრესის საუკეთესო შეფასება დაიმსახურეს ვოკალურმა ანსამბლებმა „რუსთავმა“ და „სალაღობომ“, საქართველოს ფილარმონიის სოლისტებმა ვენერა მაისურაძემ, ომარ კელაპტრიშვილმა, მედეა გონგლიაშვილმა. ქართველი მსახიობები ორჯერ გამოვიდნენ პოლონეთის ტელევიზიით.

ახლახან საქართველოს კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა ვარშავიდან მიიღო წერილი, რომელშიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების კავშირის წარმომადგენლობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში და ვარშავის საბჭოთა კულტურის სახლის დირექცია დიდ მადლობას უხდიან ქართული ჯგუფის ყველა წევრს. „პოლონელები ყოველთვის სიხარულით შეხვდებიან ზღაპრული მხარის შესანიშნავ, გულის ღიღრმედე ჩამწვდომ მელოდიებს“, ნათქვამია წერილში.

ხელოვნების თვითმყოფადობა

თბილისში რამდენსამე დღეს სტუმრად იმყოფებოდა გერმანელ მხატვართა დელეგაცია, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხატვართა კავშირის პრეზიდენტი, დრეზდენის ხელოვნების უმაღლესი სკოლის რექტორი გერჰარდ ბონდცინი ხელმძღვანელობდა.

სტუმრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქ თბილისს, ეწვივნენ მხატვრებს — ლადო გუდიაშვილს, უჩა ჯაფარიძეს, კობა გურულს. დაათვალიერეს აწ განსვენებული მხატვრის დავით კაკაბაძის სახელოსნო. იყვნენ მცხეთასა და ჯვარზე, სამთავისსა და კასპში. დელეგაციის ხელმძღვანელმა თავისი შთაბეჭდილებები ასე გაგვაცნო:

— საქართველოზე ბევრი წაგვიკითხავს და გაგვიგია, ჩვენს სამშობლოში შევხვედრივართ თქვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, ამიტომ აქ უკვე „მომზადებული“ ჩამოვედით. და მაინც ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სულ ახლახან ჩვენთან გაიმართა ქართული ხელოვნების დეკადა, რომელმაც გერმანელ ხალხს გააცნო ქართველი ხალხის მიღწევები.

ახლა ხელახლა შევხვდით ჩვენს მეგობარ მხატვრებს, ვიყავით მათ სახელოსნოებში. ვფიქრობ, მთელი ჩვენი დელეგაციის აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ქართველი მხატვრების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია თავისთავადობა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია — არ დაკარგო ეროვნული სახე, არ გაწყვიტო კავშირი ხალხთან. ამ მხრივ ქართველი მხატვრები ძალზე ძლიერნი არიან.

ქართველ მხატვართა მიღწევები გასაოცარი როდია, რადგან მათ აქვთ შთაგონების უშრეტი წყარო — საკმარისია გავიხსენოთ საუკუნეებთან ჭიდილში გამარჯვებული ხალხის სულიერი სიმდიდრენი.

ავიღოთ, თუნდაც, თბილისი. რა მომხიბლავი და განუმეორებელია იგი თავისი აღმართ-დაღმართებით, მიხვეულ-მოხვეული გზებითა და კუნჭულებით, კლდეზე მიჯრილი სახლებითა და ძველი უბნების ზღაპრული კოლორიტით. ძნელი როდია მიხვდე, რესპუბლიკის დედაქალაქს ქართველი მხატვრები თავიანთ შემოქმედებაში რატომ უმობენ ამდენ ადგილს: თბილისის ბევრი ხედი პირდაპირ გაიძულებს ტილოზე გადაიტანო.

ფილარმონიის საზაფხულო აფიშა

ჩვენი ფილარმონიის საზაფხულო სეზონი 5 მაისს დაიწყო სახელმწიფო საესტრადო ორკესტრ „რეროს“ გამოსვლებით. იგი შეცვალა ლენინგრადის საესტრადო კოლექტივმა „მომღერალმა გიტარებმა“, შემდეგ კი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს ინდრა კრამპეროვას გავეცანით. 22 მაისიდან ფილარმონიის სცენა მომღერალ არტურ აიდინიანს დაეთმო.

დიდ სცენაზე პირველად გამოვიდნენ ახალი სკოლის — თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებლის აღსაზრდელები.

ძალზე დიდი მოწონება დაიმსახურა იაპონიის ესტრადამ, რომელმაც თბილისში 2 და ბათუმში 3 კონცერტი გამართა.

ივნისში სპორტის სასახლეში კონცერტები გამართა ჩვენთვის კარგად ცნობილმა ანსამბლმა „ლოს პარაგვაიოსმა“, შემდეგ ესტრადა იუგოსლაველ მსახიობთა ჯგუფს დაეთმო.

ფილარმონიის საზაფხულო თეატრში წარმატებით გამოვიდნენ: ლენინგრადის თოჯინების დიდი თეატრი, ლენინგრადელი მსახიობი მიხეილ კუნი ფსიქოლოგიური ცდებით, ორიოდე დღის წინათ კი მოვუსმინეთ თურქ მომღერალს ნეზრინ სიპახის თავის ანსამბლთან ერთად.

— ვის შეხვდებიან კიდევ თბილისელები ამ ზაფხულს? — ამ კითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ფილარმონიის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს აპრლონ ყიფიანს.

— ივლისში მოველით ლენინგრადის ჯაზ-ანსამბლს „დიქსილენდს“, აზერბაიჯანის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრს, ყაზახეთის ახალგაზრდულ საესტრადო კოლექტივს „ახალგაზრდობა გზაში“ და სხვა ანსამბლებს. მექსიკელ მსახიობთა მოზრდილი ჯგუფი წარმოგვიდგენს დიდ საესტრადო სანახაობას — „ფიესტა მეხიკოს“ — „მექსიკურ დღესასწაულს“.

აგვისტოში გვეწვევა ჩეხოსლოვაკური ანსამბლი „გონდოლანი“, აზერბაიჯანიდან — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი რაშიდ ბეიბუთოვი.

აგვისტოშივე აფიშები მსმენელებს მიიწვევენ კოლუმბიის ანსამბლის „გრანდ კოლუმბიანოს“, ლვოვის საესტრადო ანსამბლის, ლენინგრადის ბოშათა ანსამბლის კონცერტებზე.

— როგორია ჩვენი ფილარმონიის კოლექტივთა საზაფხულო გეგმა?

— საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა რამდენიმე უფასო კონცერტი გამართა თბილისის პარკებში, ახლა კი სამოგზაუროდ გაემგზავრა ბიჭვინთაში, გაგრასა და ბათუმში. არ დაგვივწყებია ქართველი მეცხვარეებიც — ყიზლარის საძოვრებს ეწვია საესტრადო ჯგუფი სტეფანე ჯაფარიძის მონაწილეობით. საერთოდ, საქართველოს კურორტებს, დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს სისტემატურად მოვემსახურებით როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ძალებით. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „ინტურისტის“ თხოვნით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ბიჭვინთასა და გაგრაში სპეციალურად უცხოელი სტუმრებისათვის კონცერტებს მართავენ ჩვენი ფილარმონიის საუკეთესო კოლექტივები: „რერო“, „ციცინათელა“, „ჩანგი“, „ლალე“, საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით და სხვები.

ბევრმა ჩვენმა ანსამბლმა წარმატებით იმოგზაურა და ზოგი ახლაც მოგზაურობს საბჭოთა კავშირისა თუ უცხოეთის ქალაქებში. საკმარისია ითქვას, რომ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში დიდი წარმატებით გამოვიდა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ახლახან იაპონიიდან, გამოფენა „ექსპო-70“-დან დაბრუნდა მოცეკვავეთა ჯგუფი „დოლური“. ორი თვეა აფრიკის ქვეყნებში დიდი წარმატებით მოგზაურობს ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „დილო“. მალე ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრება ანსამბლი „ივერია“.

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს ჩვენი პოპულარული ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლის „ორერას“ გეგმები. ამ დღეებში „ორერამ“ დაიწყო მოგზაურობა საბჭოთა კავშირის ქალაქებში. თან იგი მოამზადებს ახალ პროგრამას სექტემბრისათვის. სპეციალურად „ორერასათვის“ წერენ სიმღერებს კომპოზიტორები რევაზ ლაღიძე, გოგი ცაბაძე, შოთა მილორავა, ბიძინა კვერნაძე, ვაჟა აზარაშვილი.

მაშ ასე, თანდათან ხორცი ესხმება ზაფხულის შეხვედრების ფართო პროგრამას.

კონცერტები ბაქრებში...

ალავერდის დიდებული ტაძრის ეზო ძლივს იტევდა ხალხს. ადამიანები აქ ხელოვნების დიდ სიყვარულს მოეყვანა. ტაძარში მუსიკის საოცარი ჰანგები გაისმოდა. ანერიოს, ბახის, შუბერტის, ნიკო სულხანიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, შალვა შველიძის, ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებებით ატკბობდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და საქართველოს სახელმწიფო კაპელა მსმენელებს. შემდეგ „გორდელამ“ მოხიბლა ძველი ქართული სიმღერებით დამსწრენი.

სატრაპეზოში კი მოეწყო გამოფენა — „ქართული არქიტექტურის ნიმუშები“. ამით საფუძველი ჩაეყარა ალავერდის მუზეუმს, სადაც პერიოდულად გამოფენენ ქართული ხელოვნების ნიმუშების ახალ ექსპონატებს. ტაძარში ხშირად გაიმართება თემატური საღამო, შესრულდება ნაწყვეტები საოპერო ნაწარმოებებიდან...

ასეთი დღესასწაულები სხვა შესანიშნავ ქართულ ტაძრებშიც გაიმართება. ამ რამდენიმე დღის წინათ მცხეთაში, ჯვრის მონასტერში, „ინტურისტის“ დამსვენებლებისათვის მოეწყო კონცერტი, რომელმაც ბევრი თბილისელი, ადგილობრივი თუ ახლომახლო რაიონების მცხოვრებიც მიიზიდა.

დამსწრეთა წინაშე წარდგნენ „გორდელა“ და სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა ვოკალური ანსამბლი „ჰორალი“. ახსნა-განმარტებას იძლეოდა მუსიკისმცოდნე ევგენი მაჭავარიანი. „ჰორალმა“ შეასრულა დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებები, „გორდელამ“ კი ძველი ქართული საეკლესიო და საერო საგალობლების ნიმუშებით დაგვატკბო.

კონცერტს ძალზე დიდი წარმატება ჰქონდა. ქართული მუსიკის დიდებული ჰანგები განსაკუთრებული ძალით აჟღერდნენ ამ წმინდა ტაძარში. უცხოელმა სტუმრებმა წარუშლელი შთაბეჭდილებით დატოვეს მცხეთა.

ქართული ხელოვნების დღესასწაულს ალავერდსა და მცხეთაში ესწრებოდა საქართველოს კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი.

ბათუ კრავეიშვილი



ორიოდე კვირის წინათ გამოვიდა ბათუ კრავეიშვილის წიგნი, რომელშიც ავტორმა გულწრფელად, საინტერესოდ გვიამბო თავისი შემოქმედებითი გზის, მეგობრებისა და კოლეგების შესახებ. ორიოდე კვირის წინათ...

დღეს კი ჩვენს შორის აღარ არის იგი, საყვარელი მომღერალი, გულისხმიერი ადამიანი, ნათელი ნიჭის შემოქმედი.

ბათუ კრავეიშვილი მთელი სიცოცხლე თავდადებით ემსახურებოდა ქართული მუსიკალური კულტურის წინსვლასა და განვითარებას. მისი ხელასი ნიჭის შედეგი იყო შესანიშნავად განსახიერებული სახეები თბილისის ოპერისა თუ მოსკოვის დიდი თეატრის სცენებზე, კლასიკურ უცხოურ თუ ქართულ ოპერებში, კლასიკურ ოპერეტებში.

ვის არ ახსოვს მისი მურმანი, ონეგინი, კიაზო, ჟერმონი, რიგოლეტო, გრიბოედოვი, მეფე გიორგი და სხვა გმირები. ვის არ ახოვს მისი გულწრფელი ლაზარე კინოფილმ „დაკარგულ სამოთხეში“ და მსახიობის დიდი ნიჭისა და შემოქმედების საუკეთესო ნიმუში — კოტე კინოფილმ „ქეთო და კოტემი“. დაუვიწყარია ბათუ კრავეიშვილის გამოსვლები ესტრადაზე, ხოლო მისი საგასტროლო მოგზაურობა ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ავსტრიაში, უნგრეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მისი შემოქმედებითი სრულყოფის ჭეშმარიტი დადასტურება იყო.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდათა მუსიკალურ დაოსტატებას ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში..

წავიდა ბათუ კრავეიშვილი ჩვენგან, 57 წლის ასაკში, და თან დაგვიტოვა სევდა, რომელიც მუდამ თან ახლავს უდროოდ გარდაცვლილთა სახეებს.

ქართული კალენდარი

ივლისი

ივლისის კალენდრის პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც თქვენს ყურადღებას მიიქცევს, თვის მეათე დღეა. ამ დღეს დაბადების 120 წელი უსრულდება დიდ ქართველ მეცნიერ-ქიმიკოსს პეტრე მელიქიშვილს.

12 ივლისი მშობლიურის დღეა. ეს დღე საზეიმოდ აღინიშნება საქართველოშიც — ახლა ქართველი მეთევზეებიც ხომ სერავენ ოკეანეებს და სამშობლოში მდიდარი ნადავლით ბრუნდებიან.

13 ივლისს დაბადების 120 წელი უსრულდება პოეტ იოსებ დავითაშვილს.

ვინ არ მოუსიბლავს ქართულ ოპერა „ქეთო და კოტეს“. ვიქტორ დოლიძის ეს შესანიშნავი ქმნილება ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ეკრანზეც გადაიტანეს. ჩვენგან ნაადრევად წასულ კომპოზიტორს (იგი 1933 წელს გარდაიცვალა), 18 ივლისს დაბადების 80 წლისთავი უსრულდება.

ქართველ მეტალურგთა სახელი დიდი ხანია გასცდა ქვეყნის ფარგლებს. რუსთავის ბრძმედებში გამოწრთობილი ფოლადი ახლა მსოფლიოშია ცნობილი. ამიტომაც ბუნებრივია, რომ მეტალურგთა დღეს, რომელიც 19 ივლისს აღინიშნება, სხვებთან ერთად ჩვენც დიდი ზეიმით გადავიხდით.

ივლისი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება — ამ თვეში სრულდება 270 წელი მეფე პოეტის თამაშურაზ მეორის დაბადებიდან.

მეკათე ტრადიციული

თბილისში ტრადიციად იქცა ფოტომოყვარულთა რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის გამართვა. წლევანდელ მეათე კონკურსზე 1102 სურათი გამოგზავნეს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსწავლეებმა. მათგან ასამდე რჩეული ფოტო პიონერთა ორგანიზაციის საიუბილეო დღეს გამოიფინა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ერთ-ერთ დარბაზში.

გამოფენის დამთვალიერებლები სიამოვნებით ეცნობიან მოზარდების ფოტოხელოვნებას. მათ მიერ წარმოდგენილი ლირიკული პეიზაჟები, მხატვრული პორტრეტები, რეპორტაჟები, მხიარული ეპიზოდები, ღიმილი, იუმორი, ძალზე შთამბეჭდავი და დასახსომებელია.

ზაფხულის ბოლოს ავტორიტეტული ჟიური გამოავლენს ნორჩ ფოტომოყვარულთა კონკურსში გამარჯვებულებს. პატარებს გადაეცემათ ფასიანი ჯილდოები, დიპლომები, სიგელები და წამახალისებელი საჩუქრები.

კარგი იქნება თუ ამ გამოფენა-კონკურსში მომავალში ჩვენი ნორჩი თანამემამულეებიც მიიღებენ მონაწილეობას საზღვარგარეთიდან.

საჭირო ცალანტეგი

აშ ასე: ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ღირსეულად იზეიმეს გამარჯვება მექსიკის სტადიონზე. პელეს გუნდი მესამედ და ამჯერად სამუდამოდ დაეპატრონა გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ოქროს ჭანდაკებას.

თუ რა ხდებოდა 22 ივნისს „აცტეკის“ სტადიონზე, ამას 106 ათასი მაყურებლის გარდა, ასეული მილიონი ადამიანი ტელევიზორების ეკრანებთან ადევნებდა თვალყურს. ამიტომ მატჩის დაწვრილებით განხილვას აქ არ შეუდგებით. ვიტყვით მხოლოდ ერთს — ბურთის ფლობის ჩინებული ტექნიკა და შემოქმედებითი თამაში იყო ის ძირითადი კრიტერიუმი, რამაც განაპირობა ბრაზილიელთა ბრწყინვალე გამარჯვება.

გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ასული გუნდების ფონზე მეტად არასახარბიელოდ გამოიყურებოდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები. სახელმოხვეჭილი მექარის ლევ იაშინის თქმისა არ იყოს, საბჭოთა გუნდს პირველ რიგში აკლია ექსტრა კლასის ფეხბურთელები, და რომ ახლანდელი ნაკრების წევრთა უმეტესობა (გამონაკლისს მხოლოდ კავაზაშვილი და შესტერნიოვი წარმოადგენენ), თავიანთი დონით საგრძნობლად ჩამორჩებიან მსოფლიოს წამყვანი გუნდების ფეხბურთელებს. და, მართლაც, თუ ჩვენი ნაკრების მეკარე კავაზაშვილმა და დაცვამ, სადაც ძირითადად ძოძუაშვილი, შესტერნოვი, ხურცილავა და კაპლიჩნი გამოდიოდნენ, შეძლეს საიმედო, საკმაოდ მაღალი კლასის თამაშის ჩვენება, გუნდის ნახევარდაცვამ (მუნტიანი, ასათიანი, სერებრიანიკოვი) და თავდასხმამ (ევრუჟიხინი, ბიშოვეცი, ხმელნიცკი) ვერაფრით გაგვახარა.

რა თქმა უნდა, გულმეშატკივრები მეტს მოელოდნენ ასათიანისაგან. მართალია, კახი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და, როგორც იტყვიან, ყველაფერი წინა აქვს, მაგრამ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატამდე რომ ოთხი წელიწადია?!

დასკვნა მხოლოდ და მხოლოდ ასეთი შეიძლება გაკეთდეს — ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო მთელი თავისი ძალის ჩვენება, თამაშობდა ერთობ შებოჭილად, იგრძნობოდა მაღალი კლასის ფეხბურთელთა უკმარისობა. ასეთი დასკვნა მით უფრო მისაღებია, რომ ივი ყველაზე ადრე თვით ნაკრების ფეხბურთელებმა გამოიტანეს, როდესაც შინ დაბრუნებულებმა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტის კითხვებს უპასუხეს.



სრული შემადგენლობით

ვანახლდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ფეხბურთში. ნაკრების მოთამაშეები თავიანთ გუნდებს დაუბრუნდნენ და, როგორც იტყვიან, „დაზარალებულთა“ საქმეც გამოკეთდა. 22 ივნისს თბილისის დინამოელები ვოროშილოვგრადს ეწვივნენ და ადგილობრივ „ზარიას“ შეხვდნენ. თამაში ქართველ ფეხბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მათ ვერ შეძლეს მოწინააღმდეგის კარში ბურთის გატანა და ასპარეზობა ფრედ — 0:0 დამთავრდა.

დღეისათვის თბილისის „დინამოს“ თორმეტი თამაშიდან 17 ქულა აქვს მოგროვილი და პირველ ადგილზე მყოფ კიევის „დინამოს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

დასანანი მარცხი იგემა ქუთაისის „ტორპედომ“ ოდესის „ჩერნომორეცთან“. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ტორპედოელებმა გაუშვეს ბურთი, რომელმაც მატჩის ბედი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

...ერთ გუნდად ღირს

გვახარებს თბილისელი ჩოგბურთელის ალექსანდრე მეტრეველის წარმატებები. ის, რომ საბჭოთა ჩოგბურთელები მესამედ გავიდნენ დევისის თასის გათამაშების ევროპის „ბ“ ზონის ფინალში, მხოლოდ და მხოლოდ ალექსანდრე მეტრეველის დამსახურებაა.

ჯერ იყო და, მეტრეველმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდის № 2 ჩოგბურთელი იან კუკალი, შემდეგ გაიმარჯვა წყვილთა ასპარეზობაში, დასასრულ კი სძლია ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს იან კოდეშს.

აი რას წერს ამ მატჩის შესახებ საკავშირო სპორტული მიმომხილველი ხრომოვი: „მეტრეველმა გაიმარჯვა ორთაბრძოლაში, რომელიც ორსაათნახევარზე მეტს გრძელდებოდა. მეტრეველი მატჩის გმირი იყო. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთ გუნდად ღირს“.

ნსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა

საქართველოს სპორტსმენებს არაერთხელ უსახელებიათ სამშობლო საერთაშორისო შეჯიბრებებზე, გამხდარან მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები. როგორც წესი, საბჭოთა კავშირის ოთხსავე სპარტაკიადაზე რესპუბლიკის ნაკრები საპატიო მეხუთე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ლენინგრადის შემდეგ.


ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამდე წელიწადი დარჩა, რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენებისა და მათი აღმზრდელების წინაშე დგას სერიოზული ამოცანა — არ დათმონ მოპოვებული პოზიციები, რაც შეიძლება უკეთ მოემზადონ ამ შეჯიბრებისათვის.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა რამდენიმე დღის წინათ გამართა თათბირი მწვრთნელებთან და ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებთან, რომლებიც ემზადებიან საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისათვის.

თათბირზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სახარულიძე. თათბირზე გამოვიდნენ სპორტული ფედერაციის თავმჯდომარეები, მწვრთნელები, გუნდის უფროსები.

ორატორებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური წვრთნისათვის. აქვე აღინიშნა სპარტაკიადისათვის მზადებაში არსებული ნაკლი, რომლებიც დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს. ნაკლოვანებათა გათვალისწინება და ინტენსიური მუშაობა შესაძლებლობას მისცემს ქართველ სპორტსმენებს წარმატებით გამოვიდნენ ისეთ დიდ სპორტულ ფორუმზე, როგორიც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაა.






გოლი!..

მალხაზ დათიკაშვილის ფოტო.

მოუსმინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოჰერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოჰერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირადღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოჰერცი.



თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ლამაზ სკვერში, აღიმართა სამსართულიანი შენობა, რომელშიც ახალი რესტორანი „არაგვი“ გაიხსნა.

აქ ერთდროულად 850 კაცს ემსახურებიან. „არაგვს“ აქვს დარბაზი-მარანი, ეროვნული და საბანკეტო დარბაზები. აქ ყველაფერი ადამიანის სალხენად და სასიამოვნოდ არის გათვალისწინებული.

ვლადიმერ გინზბურგის ფოტო.

ყურადღება!

ჩვენს მკითხველებს, საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებს, უკვე გავაცანით („სამშობლო“ № 10) საქართველოს შვაღლეს სასწავლებლებში მიღების პირობები. ახლა მათ ვთავაზობთ განცხადებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის სწავლების განყოფილებაზე სტუდენტთა მიღების შესახებ ფაკულტეტებისა და სპეციალობების კონკრეტული ჩვენებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1970-71 წლის სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

I. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი — მათემატიკა (სპეციალიზაციები: ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებები, ალგებრა, გეომეტრია, ტოპოლოგია, ალბათობათა თეორია, გამოთვლითი მათემატიკა, მათემატიკური ფიზიკა, დრეკადობის თეორია, ჰიდროდინამიკა, ასტრონომია);

II. კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი — ა. კიბერნეტიკა (სპეციალიზაციები: თეორიული კიბერნეტიკა, ექსპერიმენტული კიბერნეტიკა, ბიოკიბერნეტიკა), ბ. გამოყენებითი მათემატიკა, გ. სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკა (სპეციალიზაციები: სტრუქტურული ლინგვისტიკა, გამოყენებითი ლინგვისტიკა);

III. ფიზიკის ფაკულტეტი — ა. ფიზიკა (სპეციალიზაციები: თეორიული ფიზიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, ბირთვული ფიზიკა, გამოყენებითი ბირთვული ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა (ნახევარგამტარების ფიზიკა), გეოფიზიკა, ბიოფიზიკა). ბ. რადიოფიზიკა და ელექტრონიკა (სპეციალიზაციები: კვანტური რადიოფიზიკა, რადიომზომელობა);

IV. ქიმიის ფაკულტეტი — ქიმია (სპეციალიზაციები: არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ფიზიკური ქიმია);

V. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი — ა. გეოგრაფია (სპეციალიზაციები: ფიზიკური გეოგრაფია, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური გეოგრაფია უცხო ენების სწავლებით, კარტოგრაფია, გეომორფოლოგია), ბ. მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია (სპეციალიზაციები: ჰიდროლოგია, ოკეანოლოგია), გ. გეოლოგიური აგებულება და სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიება, დ. სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები;

VI. ბიოლოგიის ფაკულტეტი — ბიოლოგია (სპეციალიზაციები: ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა, გენეტიკა, ციტოლოგია, მიკრობიოლოგია);

VII. ისტორიის ფაკულტეტი — ა. ისტორია (სპეციალიზაციები: სკკპ ისტორია, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლები, სსრკ ისტორია, ახალი ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ძველი ქვეყნების ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია), ბ. ხელოვნების ისტორია და თეორია;

VIII. ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი — ა. ფილოსოფია, ბ. ფსიქოლოგია;

IX. ფილოლოგიის ფაკულტეტი — ა. ქართული ენა და ლიტერატურა, ბ. ჟურნალისტიკა, გ. კავკასიური ენები;

X. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი — ა. ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბ. გერმანული ენა და ლიტერატურა, გ. ფრანგული ენა და ლიტერატურა;


XI. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი — ა. სპარსული ენა და ლიტერატურა, ბ. თურქული ენა და ლიტერატურა, გ. არაბული ენა და ლიტერატურა, დ. არმენოლოგია, ე. აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობა (სპეციალიზაციები: არაბული ქვეყნები, ირანის ქვეყნები, თურქეთი);

XII. ეკონომიური ფაკულტეტი ა. პოლიტიკური ეკონომია, ბ. ფინანსები და კრედიტი, გ. სტატისტიკა, დ. საბუღალტრო აღრიცხვა.

XIII. საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი — ა. რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკა და ორგანიზაცია, ბ. მანქანათმშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, გ. მშენებლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, დ. ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაცია, ე. ეკონომიური კიბერნეტიკა;

XIV. დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტი — ა. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, ბ. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლით ვაჭრობის ეკონომიკა, დ. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და დაგეგმვა, ე. შრომის ეკონომიკა, ვ. სოფლის მეურნეობის დაგეგმვა, ზ. მრეწველობის დაგეგმვა.

XV. იურიდიული ფაკულტეტი — სამართლისმცოდნეობა.



ქართული სამზარეულო

მწყემსური ბადრიჯანი

კატბარა ზომის რვა ცალი ბადრიჯანი გარეცხეთ კანიანად, თითოეული ჩაჭერით დანით შუა ადგილას 3-4 სანტიმეტრის სიგრძეზე. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ორი ღერი ქინძი, ორი კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი გემოვნებით დანაყეთ ერთად, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ერთი თავი ხახვი, სამი ღერი ნიახური, ორ-ორი ღერი ოხრახუში, რეჰანი, ჭინძი და კარგად აურიეთ. მიღებული მასალით ამოავსეთ ბადრიჯნის ჩაჭრილი სივრცე, დააწყეთ ერთ ფენად ტაფაზე, რომელზეც საჭმელი ზეთია დასხმული და შეწვით ყოველი მხრიდან.

რძეში გადაზელილი ყველი

ნახევარი კილო, ოდნავ მარილიანი იმერული ყველი (შეიძლება „ბრინზა“ ყველიც) გაჭერით შუაზე, მოათავსეთ ქვაბში, დაასხით ორი ლიტრი ცხელი რძე და მოხარშეთ დარბილებამდე. შემდეგ ამოიღეთ რძიდან, დაასხით ზედ ერთი ჩაშჩა ცხელი რძე (რომელშიც ყველი იხარშებოდა), კოვზით ზილეთ, შემდეგ რძე ისევ მდუღარე რძეში ჩააბრუნეთ. ასე მოიქეციათ რამდენჯერმე, სანამ ყველი კარგად არ გადაიზილება, ხოლო რძე ცოტათი არ შესქელდება. გადაზელილი ყველი ნაჭრებად დაჭერით, თითო ნაჭერი თითო მათლაფაში მოათავსეთ. მოხარშულ რძეში გემოვნების მიხედვით ჩაყარეთ დაჭრილი ნედლი ან გამხმარი პიტნა, მოურიეთ და მაშინვე დაასხით მათლაფაში მოთავსებულ ყველს. სუფრაზე ცხელ-ცხელი მიიტანეთ.

დაგეძებენ, მოგელიან

აზიზ ახმედის ძე დუმბაძეს,

დაბადებულს 1920 წელს ქობულეთში, ეძებენ ძმა — **ილია**, დები — **ნადია** და **თუნთულ დუმბაძეები**, მცხოვრებნი ქალაქ ქობულეთში, ლენინის ქუჩა № 180.

აკაკი ივლიანეს ძე დოლიძეს,

დაბადებულს 1912 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ძირგანახლებაში, ეძებენ დედა — **ბაბილინა**, მეუღლე — **ჩიტო**, შვილები — **მანგური, გუგული, ვიოლეტა, ნაზიკო, ციური**, ძმები — **სიმონი** და **გრიგოლი**, მცხოვრებნი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ძირგანახლებაში.

ბენიამინ ბარნაბის ძე კორძაძეს,

დაბადებულს 1907 წელს ვანის რაიონის სოფელ მუქეთში, ეძებენ მეუღლე — **ნინო გრიგოლის ასული ცინცაძე**, შვილი — **გიზო კორძაძე**, და — **იულია კორძაძე**, მცხოვრებნი თბილისში, ძველითის ქუჩა № 6, ბინა 1.

შალვა ნიკოლოზის ძე სუხაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში, ეძებენ დედა — **ქეთევანი**, ძმები — **იოსებ, ლევან**, და — **მარიამ სუხაშვილები**, მცხოვრებნი პატარძეულში.

კონსტანტინე (კოტე) პლატონის ძე ბახტაძეს,

დაბადებულს 1915 წელს ქალაქ წულუკიძეში, ეძებენ და — **ჭყენია**, ძმა — **ვარლამ ბახტაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, კამოს ქუჩა № 19.

იოსებ (სოსო) ნიკოლოზის ძე ჯანტურიძეს,

დაბადებულს 1912 წელს გურჯაანში, ეძებენ და — **მარგო**, სიძე — **ვლადიმერ**, დისწულები — **ნოდარ** და **იზა გოგებაშვილები**, მცხოვრებნი თბილისში, მერკვილაძის ქუჩა № 16.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმისა და გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის თანამშრომლები უთანაგრძნობენ ინგლისში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს ალექსანდრე ბესტავაშვილის დედის

მარიამ გრიგოლის ასულ მაისურაძე-ბესტავაშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი

ვაჯტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 60488.